

ანტირელიგიური პლაკატები საბჭოთა საქართველოს გაზეთებში (1921-1945)

შმაგი ლიპარტელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შმაგი ლიპარტელიანი

15/06/2018

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს საარქივო კვლევის შედეგებს, რომელიც ეხება საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ჟურნალ-გაზეთების ანტირელიგიურ სააგიტაციო პლაკატებს 1921-1945 წლებში. კვლევა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის, რელიგიის კვლევების პროგრამის ფარგლებში, მაგისტრის ხარისხის მოპოვების მიზნით.

კვლევაში განხილულია ანტირელიგიური შინაარსის სააგიტაციო პლაკატებით სამეცნიერო ათეიზმის პროპაგანდირების მეთოდები, რომლის ფარგლებშიც განმანათლებლობა, ინდუსტრიალიზაცია და შრომა უპირისპირდება რელიგიურობას, რელიგიურ რიტუალებსა და რელიგიურ უქმე დღეებს;

არსებობს ნახატები, რომლებიც გამოხატავენ და შუამავლობენ ჰეგემონურ ძალაუფლებას და ეს განპირობებულია იმით, თუ ვინ შექმნა ეს ნახატი, რა შეტყობინებებს გადმოსცემს ის, სად, როდის და როგორ გავრცელდა საზოგადოებაში. კვლევაში დაკვირვების მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა პლაკატების ვიზუალური და კონტექსტუალური შინაარსი; ის თუ რა სურდათ პლაკატებს საბჭოთა რელიგიური საზოგადოებისგან და რაც სურდათ რამდენად იყო აღქმადი ყველასთვის. რა მეთოდებს იყენებდა საბჭოთა სააგიტაციო სამსახურები, რათა სამეცნიერო ათეიზმის პროპაგანდას სასურველი შედეგები გამოეღო.

ნაშრომი წარმართულია Thomas Mitchell-ის Pictorial Turn-ის თეორიაზე დაყრდნობით, კვლევაში ნაჩვენებია ანტირელიგიური შინაარსის პლაკატები, როგორც ცოცხალი ორგანიზმები, რომელთაც თვითონ გააჩნიათ სოციალური და ფსიქოლოგიური ძალა. რადგან ისინი საზოგადოების ყოველდღიურობის ნაწილს წარმოადგენენ, მნახველისგან მოელიან მოსმენას, მათ ყურადღებას, პლაკატებს სურთ ყველაფერი რაც მხატვრებმა, პოლიგრაფისტებმა, ფოტოგრაფებმა პლაკატების ვიზუალურ და კონტექსტუალურ შინაარსში ჩადეს, განსაკუთრებით კი პლაკატებს სურთ უღმერთობის პროპაგანდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინდუსტრიალიზაცია, განათლება, შრომა, რელიგია, აგიტპრომი, პლაკატი, Thomas Mitchell, Pictorial Turn.

Abstract

The work is based on archival research regarding anti-religious propaganda posters in newspapers and journals of Soviet Socialist Georgia in 1921-1945. The research presented here is conducted within the programme of Religious Studies in the faculty of Science and Arts of Ilia State University, with the purpose of attaining Master's degree. The research examines scientific atheism's methods of propaganda through anti-religious posters within which the opposition is established between the modernization (advancing knowledge), industrialization and labour on the one hand and religiousness, religious rituals and religious holidays on the other hand.

Pictures express and interact with hegemonic power. The author of pictures determines, what messages they transfer, where and when they have been spread in the society. The main focus of observation in the research has been visual and contextual content of the pictures; what the posters aimed and whether this aim was perceived as such by different groups. The thesis also looks at the methods employed by Soviet propaganda in order to promote scientific atheism.

The research is based on the theory of Thomas Mitchell's Pictorial Turn. Anti-Religious posters are presented as living organisms themselves having the social and psychological power. Since they are part of the everyday life of the society, expecting the viewer to listen, pay attention, posters transmit the visual and contextual content put in them by artists, polygraphists, and photographers and shape.

Keywords: Industrialization, Education, Labour, Religion, Agitprop, Poster, Thomas Mitchell, Pictorial Turn.